ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ128. 128243173**

თარიღი:**12/11/2024**

,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის "ქვეპროგრამის ფარგლებში „შშმ პირებისათვის პერსონალური ასისტენტების მიერ სერვისის მიწოდება" განხორციელებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე." ქვეპუნქტის, ,,ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის N24 დადგენილებით დამტკიცებული ქვეპროგრამისა ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პერონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა" და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელის მზევინარ გათენაძის 2024 წლის 05 ნოემბრის N02-12824310110 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ***ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ***:

1. დამტკიცდეს:

ა) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის განცხადება - „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პესრონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა" ქვეპროგრამის ფარგლებში, „შშმ პირებისათვის პერსონალური ასისტენტების მიერ სერვისის მიწოდება" ღონისძიების შესრულებაში მონაწილეობის მსურველ პირთათვის, თანახმად დანართი N1-სა.

ბ) „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა" ქვეპროგრამის ფარგლებში, „შშმ პირებისათვის პერსონალური ასისტენტების მიერ სერვისის მიწოდება" ღონისძიების ჩატარების ვაუჩერის გაცემისა და გამოყენების წესი", თანახმად დანართი N2-სა.

გ) „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პესრონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა" ქვეპროგრამის ფარგლებში, „შშმ პირებისათვის პერსონალური ასისტენტების მიერ სერვისის მიწოდება" ღონისძიების ჩატარებისთვის გასაცემი ვაუჩერის ფორმა, თანახმად დანართი N3-სა.

დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ასისტენტის გადაადგილების ტაბელი (ფორმა), თანახმად დანართი N4-სა;

ე) მომსახურების მიმწოდებელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი, დანართი N5-სა.

2. „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა" ქვეპროგრამის ფარგლებში გასაცემ ვაუჩერზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს გიორგი ქარცივაძეს.

3. „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პერსონალური ასისტენტის

მომსახურებით უზრუნველყოფა“ ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს გიორგი ქარცივაძეს.

4. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა უზრუნველყოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სოციალური უზრუნველყოფა“ პროგრამის, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა“ ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების შენახვა, ხელშეკრულების მიმწოდებელი ორგანიზაციისათვის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურისადმი მიწოდება.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი ქ. №358) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ზაზა დიასამიძე

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი